იაფი სესხი – მითი, თუ რეალობა



ომარ ბილონაშვილი

გამომგონებელი

მივესალმები თქვენი ჟურნალის მკითხველებს და მადლობას გიხდით ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების შეულამაზებელი და რეალისტური ანალიზისათვის.

ჩემი დაინტერესება გამოიწვია თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებულმა საინტერესო სტატიამ იაფი სესხის შესახებ. ვინაიდან თვითონ გავხდი ამ პროგრამის მიმზიდველ ბადეში გაბმული, გადავწყვიტე ეს პატარა და ვფიქრობ არც თუ ისე უმნიშვნელო ისტორია თქვენთვის მომეყოლა.

ზემოთ აღნიშნული პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე, სადაც მოცემულია სესხის გაცემის პირობები, მიზნები, ფორმები და ა.შ...

ასეთივე ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზეც. ამასთან, ამ ფონდის საიტზე წარმოდგენილია ინფორმაცია გაფორმებული კონტრაქტების შესახებაც.

რაღა თქმა უნდა, მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას ნანახი ექნება **„იაფი სესხის“** შესახებ ტელეარხებზე დატრიალებული სარეკლამო კლიპები, ასევე, სიუჟეტები ამ პროგრამის ფარგლებში ამუშავებულ საწარმოებსა თუ ახალ ბიზნესებზე, რომლებიც ასე ოპტიმისტურად განაწყობენ ადამიანს და ძლიერ ეფექტს ახდენენ მოსახლეობის იმ ფენაზე, რომელიც მართლაც უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ წინასაარჩევნოდ ,,შემოთავაზებული“ ამ იაფი ფულის მომხმარებელი.

ვინ არის ან ვინ უნდა იყოს, რა ტიპის საწარმოებისთვისაა განკუთვნილი, მართლა მიიღო თუ არა ამ ხალხმა ეს სესხი, რა კრიტერიუმებით შეარჩიეს, ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები – კომისია, თუ მისი წევრები? ასეთი და სხვა მრავალი კითხვა გამიჩნდა პირადად მე და დარწმუნებული ვარ ბევრ სხვასაც.

როგორც პროგრამის დებულება გვეუბნება, იგი განკუთვნილია ძირითადად სოფლის მეურნეობის, ხალხური რეწვისა და ტურიზმის სფეროში მომუშავე მეწარმეებისთვის. დაფინანსება შეუძლიათ მიიღონ როგორც უკვე არსებულმა, ასევე დამწყებმა ბიზნესებმა, ანუ იმ ხალხმა, ვისაც კარგი ბიზნესიდეა და მონდომება გააჩნია. კარგი და პატიოსანი. თუმცა, ყველაფერი ისე როდია, როგორც ლამაზად შეფუთული „ზღაპარი“ (სარეკლამო რგოლი) გვეუბნება.

მოკლე ისტორია

2008 წ. 28 მარტს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში განთავსებულ ე.წ. **„ბუტკაში“** მჯდომ ქალბატონებს ,,ჩავაბარე“ იაფი სესხის პროგრამაში მონაწილეობისთვის 2 (ორი) პროექტი. აქედან, ერთი განკუთვნილი იყო დედოფლისწყაროში, კერძოდ კი შირაქში ახალი წისქვილისა და საცხობის მოწყობილობების შესაძენად და ასამუშავებლად. დასაქმდებოდა 30-მდე ადამიანი და მის განხორციელებას დასჭირდებოდა 45-50000$; მეორე პროექტი მოიცავს, როგორც სოფლის მეურნეობას, ასევე, ტურიზმსაც. საქმე შემდეგში გახლავთ: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ **„საქპატენტში“** შევიტანე განაცხადი №478/04 სამრეწველო დიზაინის ნიმუშზე – **„კასრის ფორმის ჯიხური“.** აღნიშნული დიზაინი მიეკუთვნება მცირე არქიტექტურულ ნაგებობებს. დღეის მდგომარეობით გამოქვეყნებულია (,,საქპატენტის“ ბიულეტენი, №9, 2008წ.) და უახლოეს მომავალში გაიცემა პატენტი ანუ დაცული იქნება. პარალელურად დაპატენტების პროცესი მიდის რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც.

პროექტის არსი

კასრის ფორმის არქიტექტურული შენობა, რომელიც გარედან ეფექტური და მიმზიდველი უნდა იყოს, როგორც ტურისტისათვის, ასევე ჩვეულებრივი მომხმარებლისათვის. გარდა გარეგანი ფორმისა, შიგნიდანაც ორიგინალურ და საინტერესო დიზაინს მოიცავს. მისი დადგმა შეიძლება როგორც ისტორიულ ძეგლებთან, ასევე, თანამედროვე ნაგებობებთან, ქალაქში თუ ქალაქგარეთ ტურისტებით დატვირთულ ადგილებში. შენობის (კასრის) ქვეშ სიღრმეში განლაგებული მცირე მარანი და საჭაშნიკე კი დამატებითი პლიუსებია ასეთი ტიპის მცირე ბიზნესისათვის. პროექტის მიხედვით, შენობაში გაიყიდება როგორც ცნობილი ქართული კომპანიების ღვინოები, ასევე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, კერძო მევენახეების (მეღვინეების) სახლის ღვინოები და

სხვა სპირტიანი სასმელები (როგორც უცხოელები ამბობენ Home Made), რაც საშუალებას მისცემდა რამდენიმე ასეულ ფერმერს მოეწოდებინა განსხვავებული და ხარისხიანი ღვინოები და სხვა სპირტიანი სასმელები, რაც უდავოდ კონკურენციის პირობებში მათი ხარისხის ამაღლებასაც ხელს შეუწყობდა. საწყის ეტაპზე ასეთი ნაგებობების განლაგება შეიძლება თბილისის რომელიმე ისტორიულ უბანში, სიღნაღში, თელავში, ბათუმში და ქუთაისში. ობიექტებზე შესაძლებელი იქნება ღვინოებისა და სხვა სპირტიანი სასმელების გარდა სხვადასხვა სუვენირებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, რაც ხელს შეუწყობდა მეთუნეების, მქსოველების, ჭედურობის ოსტატების თუ სხვა ხელოსანთა და მცირე მეწარმეთა ნაკეთობების რეალიზაციას.

ტურისტულის გარდა, ასეთი ობიექტები შეიძლება განლაგდეს ჩვეულებრივ ხალხმრავალ სარეალიზაციო ადგილებშიც, რაც რა თქმა უნდა ჩაანაცვლებდა ე.წ. **„ბაზრის ღვინოებს“**, რომელთა წარმოშობა და ხარისხი თავისთავად ეჭვს იწვევს მომხმარებელში, სერთიფიცირებისა და ხარისხის კონტროლის უქონლობის გამო.

პერსპექტივა

საქართველოს ბაზარზე პროექტის წარმატების შემთხვევაში შეიძლება მისი განვითარება ღვინის და სხვა სპირტიანი სასმელების ფართოდ მომხმარებელ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, აშშ თუ სხვა. ამ ქვეყნებში დღეისთვის მიმდინარეობს დიზაინის ნიმუშის დაპატენტების პროცესი.

მიმდინარე სიტუაცია

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში პროექტების ჩაბარებისას, „ბუტკაში” მჯდომმა ქალბატონმა მითხრა, რომ პასუხი დაახლოებით 2 კვირაში იქნებოდა. ორი კვირის შემდეგ მისულს შემომთავაზეს, დამერეკა ნომერზე 98-84-73, რომელიც კედელზე ე.წ. „ფლომასტერით“ იყო მიწერილი(?). სხვა უამრავ წარწერას შორის, როგორებიც არის მაგ. „ვანოს+ანო=” და ა.შ. როდესაც დავრეკე, მითხრეს, რომ მოწონების შემთხვევაში დამირეკავდნენ. ორი-სამი დღის ინტერვალით ვრეკავდი და პასუხი იგივე იყო. გავიცანი ხალხი, ვისაც შეტანილი ჰქონდა პროექტები მეფუტკრეობაზე, მევენახეობაზე, მესაქონლეობაზე და ა.შ. არც ერთ მათგანს პასუხიც კი არ მიუღიათ, როგორც მეანაბრეებს არ მიუღიათ ყოველი არჩევნების წინ დაპირებული საკუთარი(!) დანაზოგი.

დავუბრუნდეთ საქმეს, 20 ივნისის შემდეგ, ზემოთხსენებულ ნომერზე მოპასუხე ახალგაზრდას გაბრაზებულმა მოვთხოვე ჩემი პროექტების დაბრუნება. ჩემდა გასაკვირად, გამომეცხადა 17-18 წლის ახალგაზრდა და ჩამომიტანა პირველი პროექტის ქსეროასლი და მითხრა, რომ მეორე პროექტი ვერ იპოვეს(?!) და თან დამამშვიდა, რომ აუცილებლად იპოვიდნენ და თუ მოეწონებოდათ, აუცილებლად დამიკავშირდებოდნენ. მას შემდეგ ჩაილურის წყალთან მეც ბევრჯერ ავიარ-ჩავიარე (კახეთში ჩასვლა-ჩამოსვლისას), იაფი კრედიტის კლიპებიც ძველებურად აბოლებენ დღის განმავლობაში ნაჯაფარ და საღამოს ტელევიზორთან მიმჯდარ კახელ, რაჭველ, გურულ თუ ქართლელ კაცს, ვისთვისაც განკუთვნილა ეს კრედიტი, პასუხი კი არ ჩანს.

მცირე ანალიზი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია გაფორმებულ კონტრაქტებზე ასე თუ ისე ნათელ წარმოდგენას იძლევა რეალურ სურათზე. ძვირფასო მკითხველო, კარგად მოგეხსენება, რომ ინტერნეტი და შესაბამისად, ეს ინფორმაცია სოფელში მცხოვრები 1000 კაციდან 999 კაცისათვის ისევე მიუწვდომელია, როგორც საკუთარი ყურების ხილვა. ხოლო ეს ინფორმაცია გასაგებად გვეუბნება, რომ კონტრაქტების 99% მიღებული აქვს წარმოებებს რომელთაც 200-300 ათასი ლარის (და მეტის) ქონება გააჩნიათ სესხის უზრუნველსაყოფად (ამას მოითხოვს პროგრამის დებულება), ანუ ის ე.წ. „მცირე მეწარმეებზე” არ ყოფილა სინამდვილეში გათვლილი.

დასკვნის მაგიერ

მთლიანობაში ეს არ ჰგავს ფართოდ რეკლამირებულ „ყველა ინიციატივიან მეწარმეზე“ შეპირებულ იაფი სესხის კეთილშობილურ ჩანაფიქრს. ეს, პირადად მე, მაგონებს პოლიტიკური ხელისუფლების ძველთაძველ და მრავალნაცად „პური და სანახაობის“ თანამედროვე ნაირსახეობას და იგივე პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების ეკონომიკურ ხერხს. ვისურვებდი, რომ ვცდებოდე.



ბიზნესი და კანონმდებლობა

ყოველთვიური სამეცნიერო ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

საავტორო უფლება

სტატიები, რომლებიც ჟურნალში გამოქვეყნებისთვისაა განკუთვნილი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ორიგინალური კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და შესაბამისად გამომცემელი ნებისმიერი სახის დარღვევისგან უნდა იყოს დაზღვეული. ხელნაწერი, ან ნაშრომი გადადის გამომცემლის ლეგალურ საავტორო უფლებაში.

სტატიის გამოქვეყნების წესი:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, დაშორება ხაზებს შორის 1,5.

2. სტატიის მოცულობა 5-10 გვერდი.

3. სტატიაში მიეთითოს ავტორის (ან ავტორთა) სრული სახელი, გვარი და სამეცნიერო წოდება.

4. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე, სადაც აღწერილი იქნება სტატიის პრინციპული მიმართულებები. იგი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. სტატიისა და რეზიუმეს სათაურები აუცილებლად იდენტური უნდა იყოს.

5. თუ სტატია მოიცავს მეთოდოლოგიას, იგი უნდა გამოიყოს ცალკე ქვესათაურით. სათაურები უნდა იყოს მოკლე, განსაზღვრული და დაუნომრავი. ცხრილები, დიაგრამები – მინიმუმამდე დაყვანილი, შავთეთრი, არაბული ნომრების გამოყენებით. ტექსტში აუცილებლად მიუთითეთ „იხ. ცხრილი“.

6. სტატია და რეზიუმე წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე დისკეტაზე **(CD, Floppy)**, გამოიყენეთ შრიფტი **AcadNusx**.

ყველა სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირდება. უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში ნაშრომი არ გამოქვეყნდება, ხოლო ხელნაწერი რედაქციაში რჩება.

შეცდომების გასწორება

ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** ივლისი-აგვისტოს ნომერში (გვ. 59) ქალბატონ ლია ელიავას სტატიის სათაური: **„რა უშლის ხელს საბანკო კრიზისის მდგრადობას“** უნდა იკითხებოდეს: **„რა უშლის ხელს საბანკო სისტემის მდგრადობას“,** ასევე ელარისა ყორღანაშვილის სტატიის სათაურში (გვ. 77) სიტყვა **„კლარტერები“** უნდა იკითხებოდეს: **„კლასტერები“**.

ჟურნალის რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორებს და მკითხველებს უნებლიედ დაშვებული შეცდომებისათვის.

ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** რედაქცია.

საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და რეკვალიფიკაციის ცენტრი

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბიზნესის ადმინისტრირება;
2. საბანკო–საფინანსო საქმე;
3. მენეჯმენტი და მარკეტინგი;
4. სამართალმცოდნეობა (იურიდიული);
5. ბუღალტრული აღრიცხვა;
6. კომპიუტერული ტექნოლოგიები (კომპიუტერის დაშლა–აწყობა–მოდერნიზაცია, ინსტალაცია, პროგრამული უზრუნველყოფა).

პარალელურად სტუდენტებს შეუძლიათ დამატებით შეისწავლონ:

1. უცხო ენა; 2. კომპიუტერის საოფისე პროგრამები; 3. კომპიუტერული ბუღალტერია; 4. ეკონომიკური და იურიდიული ფსიქოლოგია; 6. თამაშთა თეორია და გადაწყვეტილებების მიღება; 7. ეკონომიკური რისკი და მისი მართვა.

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის დიპლომს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ფრიადოსნებს დაენიშნებათ სტიპენდია.

სტუდენტებს უფასოდ გადაეცემათ სპეციალური ლიტერატურა, უფასოდ მიიღებენ პერიოდულ ჟურნალს: **„ბიზნესი და კანონმდებლობა".**

ჩვენთან ფუნქციონირებს დასაქმების სამსახური

წარჩინებული სტუდენტების მონაცემები გავრცელდება ინტერნეტით, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი სასწავლო წელი. სწავლის საფასური 1000 ლარი. გადახდა შეიძლება განვადებით.

მიიღებიან მსურველები საშუალო და უმაღლესი განათლებით. ჩარიცხვა უგამოცდოდ.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1. ატესტატი ან დიპლომის ასლი; 2. ფოტოსურათი; 3. პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 37, კორპ. 14, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის შენობა.

ტელ. 25-81-15; 25-81-21; 893-52-09-95; 53-12-11.

საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და რეკვალიფიკაციის ცენტრი

აცხადებს მიღებას მოკლევადიან (3 თვიან) კურსებზე შემდეგ სპეციალობებზე:

ბიზნესის ადმინისტრირება:

1. ეკონომიკის პრინციპები;
2. მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება;
3. მარკეტინგის საფუძვლები;
4. სამეწარმეო სამართლის საფუძვლები;
5. ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის საფუძვლები;
6. საგადასახადო კანონმდებლობის საფუძვლები;
7. კომპიუტერული საოფისე პროგრამები.

ოფისის-მენეჯერი:

1. საქმის წარმოების მეთოდიკა;
2. უცხო ენის მოკლე კურსი;
3. ეკონომიკური და იურიდიული ფსიქოლოგია;
4. კომპიუტერული საოფისე პროგრამები.

კომპიუტერული ბუღალტერია:

1. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;
2. საგადასახადო კანონმდებლობის საფუძვლები;
3. კომპიუტერული ბუღალტერია (ორისი, ინფო);
4. კომპიუტერული საოფისე პროგრამები.

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის დამცავმექანიზმიან სერთიფიკატს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტუდენტებს უფასოდ გადაეცემათ სპეციალური ლიტერატურა, ასევე უფასოდ მიიღებენ ანალიტიკურ-პრაქტიკულ ჟურნალს: **„ბიზნესი და კანონმდებლობა".**

სწავლების საფასური 400 ლარი.

მიიღებიან საშუალო სკოლის და უმაღლეს დამთავრებულები. ჩარიცხვა უგამოცდოდ.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
1. ატესტატის ან დიპლომის ასლი;
2. ფოტოსურათი;
3. პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 37, კორპ. 14, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის შენობა. ტელ. 25-81-15; 25-81-21; 893-52-09-95; 53-12-11.